Chkhorotsku Municipality
Digitally signed by Chkhorotsku Municipality
DN: cn=Chkhorotsku Municipality, 2.5.4.97=NTRGE-242268791, o=••••••••••••••••••••••, c=GE
Date: 2019.05.06 16:40:23 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 51

ქ.ჩხოროწყუ 6 მაისი, 2019წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, (მისამართი: დ.ჩხოროწყუ, დ.აღმაშენებლის ქ№1),წარმოდგენილი მერის დათო გოგუას სახით შემდგომში „შემსყიდველი'' და მეორე მხრივ ი/მ „გონერ შენგელია“ (მისამართი:ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭოღა) წარმოდგენილი გონერ შენგელიას სახით შემდგომში „მიმწოდებელი'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ'' ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე..

2. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაცმათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება,
სამუშაოს შესრულების ვადები, ხარჯთაღრიცხვა.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოღაში (პირველი ჭოღის უბანი) სოფლის მხადაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.
3.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ პირობაში ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
3.3 შესყიდვის საშუალება-გამარტივებული შესყიდვა.
3.4 შესყიდვის საფუძველი- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის #208 განკარგულება.
3.5 კლასიფიკატორის კოდი- **CPV45200000**

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1.1 მიმწოდებელი ვალდებულია: უზრუნველყოს ხელშეკრულების საგნად მიჩნეული სამუშაოს შესრულება ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით 2019 წლის 2 ივლისამდე.
4.1.2 სამუშაოები აწარმოოს სამშენებლო ნორმების სრული დაცვით კვალიფიციური მუშა პერსონალით, საჭირო ინვენტარითა და ტექნიკის გამოყენებით.
4.1.3 სამუშაოების შესრულების დროს სრულად დაიცვას უსაფრთხოების დადგენილი ნორმები.
4.1.4. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
4.1.5 მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ საზედამხედველო ორგანიზაციას შესრულებული სამუშაოს, შემსყიდველ ორგანიზაციაში სამუშაოების მიღების არსებული წესისა და დამტკიცებული ფორმების თანახმად განსაზღვრულ ვადაში.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
4.2.1 აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციპიკაციების, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.
4.2.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახული ვადებით და ფორმით.

5. ღირებულება და ანგარიშწორება

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 15277 (თხუთმეტი ათას ორას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს .

5.2.შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).
5.3.ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე.
5.4.მიმწოდებლის წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) მიღება-ჩაბარების აქტი;
ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;
გ)შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.
5.5. ანგარიშსწორების ვადაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღე.
5.6 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის ან და საამისოდ შერჩეული პირის (ზედამხედველის) მიერ დადასტურებული აქტი.
5.7შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო-სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე. არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 30-40%–სა. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო-სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
6.2. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან დამატებითი ღირებულებების გადახდის ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
6.3 საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოუდგინოს შემსყიდველს ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნა.
6.4 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელს, რომლის განმავლობაში რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია „მიმწოდებლის“ მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოს დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი,ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის და დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1. მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების გადახდაზე,

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 22 აგვისტომდე .

15. დამატებითი პირობა

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი''	„მიმწოდებელი''
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	ი/მ „გონერ შენგელია''
მისამართი:დ. ჩხოროწყუ, დ.აღმაშენებლის ქ#1	მისამართი:ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი,სოფ. ჭოღა
საიდენტიფიკაციო კოდი: 242268791	საიდენტიფიკაციო კოდი: 48001002556
	ბანკის კოდი:LBRTGE22
	ანგარიშის ნომერი GE60LB0112114441161000

მერი /დ.გოგუა/ _____ /გ. შენგელია/

Goneri Shengelia

Digitally signed by Goneri Shengelia
DN: cn=Goneri Shengelia, serialNumber=48001002556, o=Citizen, c=GE
Date: 2019.05.06 13:37:23 +04'00'